ცხადდება კონკურსი
ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში (გერმანია)
კვლევითი სტაჟირებისათვის სტიპენდიების მოსაპოვებლად

თსუ-ს დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის
და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალისთვის,
რომელიც ჩართულია კვლევით ან/და საგანმანათლებლო საქმიანობაში

!!! ფიზიკური მობილობის განხორციელება დამოკიდებულია
მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან და დარჩენასთან დაკავშირებულ რეგულაციაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საფეხურის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრის შემდეგი მიმართულების სტუდენტებს: პოლიტიკის მეცნიერებები, სამართალმცოდნეობა, ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამა (ბიო-მრავალფეროვნების მოდული), ფილოლოგიის სადოქტრო პროგრამა (სლავური ფოლოლოგია), ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება) ფილოლოგიის სადოქტრო პროგრამა (კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა), ისტორიის სადოქტორო პროგრამა (კავკასიოლოგია), რუსეთისმცოდნეობა;

ბ) სამეცნიერო ხარისხის (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული) მქონე თსუ-ს პერსონალს, რომელიც ჩართულია კვლევით ან/და საგანმანათლებლო საქმიანობაში ისეთ მიმართულებებში, როგორიაა პოლიტიკის მეცნიერებები, სამართალმცოდნეობა, ბიო-მრავალფეროვნება/ბოტანიკა, სლავური ფილოლოგია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, კავკასიოლოგია, რუსეთისმცოდნეობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა:

- დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის: **3 (სამი) თვე;**
- სამეცნიერო ხარისხის (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული) მქონე თსუ-ს პერსონალისათვის: **1 (ერთი) თვე;**

სტიპენდიის სრული მოცულობა:

- დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის: ჯამური **3.600 ევრო;**
- სამეცნიერო ხარისხის (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული) მქონე თსუ-ს პერსონალისათვის: ჯამური **2000 ევრო.**

მობილობის პერიოდი: შერჩეული კანდიდატები ვალდებული არიან მობილობის გეგმა ისე შეადგინონ, რომ სტაჟირება და შესაბამისად, მიმღებ ქვეყანაში დარჩენა დასრულდეს არაუგვიანეს 2024 წლის 30 იანვრისა.

შერჩეულმა სტიპენდიატებმა თავად უნდა აანაზღაურონ საერთაშორისო მგზავრობის, სამოგზაურო დაზღვევის და ყველა სხვა ხარჯი.
შერჩეულმა სტიპენდიატებმა უნდა იქონიონ საკმარისი ფინანსური რესურსი მობილობის პირველი 2 კვირის დასაფინანსებლად, სტიპენდიის ადმინისტირებაში შესაძლო დაგვიანების შემთხვევაში.

დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის, კონკურსზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ან გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ქვემოთ ჩამოთვლილ

დოკუმენტთაგან ერთ-ერთი:

ა) **ინგლისური ენის შემთხვევაში** - შესაბამისი რეგისტრაციის დასრულებამდე არაუადრეს 4 კალენდარული წლით აღებული შემდეგი სერტიფიკატები: TOEFL (90 iBT), IELTS (6.5 მინიმალური საშუალო ქულა) ან CAMBRIDGE (FCE)-ის სერთიფიკატი; **გერმანული ენის შემთხვევაში** - შესაბამისი რეგისტრაციის დასრულებამდე არაუადრეს 4 კალენდარული წლით აღებული შემდეგი სერტიფიკატები: TestDaF (TDN 3), DSH (DSH 1), DSD (B2), Goethe Certificate (90-100);

ბ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული უცხოური ენების ინსტიტუციური ტესტირების შედეგის საფუძველზე (არანაკლებ 71 ქულისა), რომლის შედეგიც ძალაშია ტესტირების ჩატარების სემესტრისა და მომდევნო 1 სემესტრის განმავლობაში, შესაბამისად, ამ კონკურსის მიზნებისთვის ვალიდურად ითვლება 2023 წლის 10 მარტის ტესტირების შედეგი);

გ) საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებაში კვლევითი სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე დასწრებულად, კვლევითი სტაჟირების ენის მითითებით, სადაც სტაჟირების ენად გამოყენებული იყო ინგლისური ან გერმანული ენა. ასეთი კვლევის/სტაჟირების მინიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს 3 კალენდარული თვე;

დ) საუნივერსიტეტო დონეზე პედაგოგიური საქმიანობის/სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე, კერძოდ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით განცხადების გაკეთების და წინა აკადემიური წლის განმავლობაში არანაკლებ 2 სემესტრის განმავლობაში, თითოეულ სემესტრში მინიმუმ 5 კრედიტის დატვირთვის მქონე კურსის წაყვანა, სადაც სწავლების ენად გამოყენებული იყო ინგლისური ან გერმანული.

<u>**სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:**</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

საპლიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალი (დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის):

1. პირადობის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის - პასპორტის (მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის) ასლი (სკანირებული pdf ვერსია);
2. CV-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ ან გერმანულ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv;
3. ცნობა 2022-23 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია); *გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში გამარჯვების და სტიპენდიის სარგებლობის შემთხვევაში, 2023-24 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონა სავალდებულოა.*
4. მიმდინარე შეფასებების ამონაწერი აპლიკანტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო დისციპლინების მიხედვით, GPA-ის მითითებით (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);

5. ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირობები იხილეთ ზემოთ). **აპლიკანტებს, რომლებსაც თსუ ენის ინსტიტუციური ტესტის დადებითი შედეგი აქვთ, არ ესაჭიროებათ დოკუმენტის ატვირთვა;**
6. მაგისტრატურის დიპლომის **pdf** ვერსია;
7. მაგისტრატურის დიპლომის დანართი **GPA**-ის მითითებით ინგლისურ ენაზე;
8. *დამატებითი მხარდაჭერა ნაკლები შესაძლებლობების მქონე აპლიკანტებისთვის; (არსებობის შემთხვევაში, სკანირებული **pdf** ვერსია):*

- *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სამედიცინო ცნობით);*
- *სოციალურად დაუცველი პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით);*
- *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით);*
- *არასრულწლოვანი ბავშვის მშობელი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობით);*
- *ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი;*

9. რეკომენდაცია ინგლისურ ან გერმანულ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე **mobility.tsu.ge** რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
10. მოტივაციის წერილი საკვლევი გეგმის მონახაზის ჩათვლით არაუმეტეს 3 გვერდისა (ინგლისურ ან გერმანულ ენაზე); ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - **Times New Roman**, ფონტის ზომა - 12, **line spacing** – 1.0, ველები - 2სმ.;
11. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი **(Letter of Interest)** (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების წერილი, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის);
12. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა *(გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ **pdf** ვერსია*);

საპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი აკადემიური პერსონალის შემთხვევაში:

1. პასპორტის ასლი;
2. **CV**-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ ან გერმანულ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv;
3. ცნობა სამსახურიდან **ინგლისურ ენაზე**;
4. სამეცნიერო ხარისხის (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დიპლომი);
5. სამუშაო გეგმის მონახაზი არაუმეტეს 3 გვერდისა **(გერმანულ ან ინგლისურ ენაზე)**; ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - **Times New Roman**, ფონტისზომა - 12, **line spacing** – 1.0, ველები - 2სმ.
6. მასპინძელი კოლეგა პროფესორის ან აკადემიური ერთეულის ხელმძღანელის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი **(Letter of Interest)**;
7. რეკომენდაცია *(ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე* **mobility.tsu.ge** *რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას*);

გაცვლით პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული პირები უნდა დარეგისტრირდნენ გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge, ატვირთონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში) და გადმოგზავნონ განაცხადი ელექტრონულად 2023 წლის 11 სექტემბრის 14:00 საათამდე.

- **გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.**
- **რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე**

<u>**დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:**</u>

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალი mobility.tsu.ge

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებს ზემოთ მითითებული ვადის (11 სექტემბრის 14:00სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ **გაგზავნის** ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრებების დრო და თარიღი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ მეილზე;

ბ) ფინანსები და Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები

- ფიზიკური მობილობის განხორციელება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წესების და რეგულაციების დაცვასთან, როგორიცაა Covid-19 ვაქცინაციის სრული კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა, PCR ტესტირება (ერთ- ან მრავალჯერადად), საკარანტინო სივრცეში დარჩენა, სამოგზაურო, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევა და სხვა, რაც ფინანსურ ხარჯებთან და დროით რესურსთან არის დაკავშირებული. ყველა ასეთი ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მობილობაში მონაწილე სტუდენტის მიერ.

გ) კონკურსის ორგანიზების საფუძველი და შერჩევის წესი

თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ
https://www.tsu.ge/ka/foreign-relations/page/8837

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის” 49^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება. მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტი მშობლიურ უნივერსიტეტში ირიცხება, როგორც აქტიური სტუდენტი და შესაბამისად, სტუდენტმა ყველა სემესტრში უნდა გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია! (tsu.ge)

გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენების სახელმძღვანელო
https://tsu.ge/assets/media/files/42/Outbound Mobilities/UserGuide_mobility.tsu.ge_v1.pdf

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge